<u>IX დანართის დამატება 3</u>

ლიხტენშტაინი - მუხლში 5.4 მოხსენიებული უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმიდან გამონაკლისების ჩამონათვალი

სექტორი და ქვესექტორი	მუხლთან 5.4 შეუსაბამო ზომის აღწერა	ქვეყნები, რომელთაც ეს ზომა მიესადაგება	განსაზღვრული ხანგრძლივობა	გამონაკლისთა განმაპირობებელი გარემოებები
აუდიო-ვიზუალური მომსახურება	გავრცელდეს ეროვნული რეჟიმი იმ აუდიო-ვიზუალურ პროდუქციაზე, რომლებიც გათვალისწინებულია ორმხრივი- და მრავალმხრივი თანაწარმოების ხელშეკრულებებით აუდიო-ვიზუალური მასალის სფეროში, კერძოდ, დაფინანსების მიღებასა და დისტრიბუციასთან მიმართებაში.	ყველა ქვეყანასთან, რომელთანაც კულტურული თანამშრომლობა შეიძლება იყოს სასურველი.	განუსაზღვრელი	საერთო მიზნების მიღწევის ხელშეწყობა კულტურის სფეროში
	ზომები, რომლბიც იძლევა ისეთი მხარდამჭერი პროგრამებით სარგებლობის საშუალებას, როგორებიც არის MEDIA და EURIMAGES, და, ასევე, ზომები, რომლებიც ეხება საეთერო დროის გამოყოფას და ისეთი ღონისძიებების გატარებას, როგორებიც არის ტრანსსასაზღვრო ტელევიზიის შესახებ ევროპული კონვენციის შემოღება და ეროვნული რეჟიმის გავრცელება იმ აუდიო-ვიზუალურ პროდუქციასა და/ან აუდიო-ვიზუალური სერვისის მიმწოდებელზე, რომლებიც აკმაყოფილებენ საქონლის წარმოშობის განსაზღვრულ ევროპულ კრიტერიუმებს.	ევროპული ქვეყნები	განუსაზღვრელი	კულტურის სფეროში არსებული ხანგრძლივ კულტურულ კავშირებზე დამყარებული მიზნების მიღწევის ხელშეწყობა

სექტორი და ქვესექტორი	მუხლთან 5.4 შეუსაბამო ზომის აღწერა	ქვეყნები, რომელთაც ეს ზომა მიესადაგება	განსაზღვრული ხანგრძლივობა	გამონაკლისთა განმაპირობებელი გარემოებები
	რადიო ან სატელევიზიო გადამცემი სადგურების ფუნქციონირებისთვის საჭირო დათმობებით შეიძლება ისარგებლოს ყველა ქვეყნის წარმომადგენელმა პირმა, გარდა ლიხტენშტაინისა.	ყველა ქვეყანასთან, რომელთანაც კულტურული თანამშრომლობა შეიძლება იყოს სასურველი.	განუსაზღვრელი	კულტურის სფეროში საერთო მიზნების მიღწევის ხელშეწყობა და მცირე ზომის ბაზარზე წვდომის რეგულირება არსებული პროდუქციის მრავალფეროვნების შესანარჩუნებლად.
მშენებლობა და მასთან დაკავშირებული საინჟინრო მომსახურება	კომერციული წარმომადგენლობის ქონის ან წარმომადგენელ ფიზიკურ პირთა ყოლის უფლება დამოკიდებულია ლიხტენშტაინის მომსახურების მიმწოდებელთა ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობაზე.	ყველა ქვეყანა	განუსაზღვრელი	ლიხტენშტაინის მომსახურების მიმწოდებელთათვის ბაზარზე წვდომის უზრუნველყოფა
ავტოსატრანსპორტო მომსახურება (მგზავრი და ტვირთი)	ბაზარზე საერთო წვდომის უფლების საფუძველზე, ჩვეულებრივ, ორმხრივი შეთანხმებების შესაბამისად, დაარეგულიროს საქონლის და/ან მგზავრთა გადაზიდვა-გადაყვანა, ლიხტენშტაინს გარდა ყველა ქვეყანაში რეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალებებით, ლიხტენშტაინს ტერიტორიაზე, ტერიტორიის გარეთ ან მისი გავლით.	ყველა ქვეყანა, რომლებთანაც არსებობს ორმხრივი შეთანხმება საგზაო ტრანსპორტზე ან საგზაო ტრანსპორტთან დაკავშირებული სხვა შეთანხმებები ან შეიძლება იყოს სასურველი (დღესდღეობით დაახლოებით 45 ქვეყანა)	გამონაკლისების არსებობა საჭიროა მანამ, სანამ რეგიონის სპეციფიკისა და საგზაო ტრანსპორტზე გარემოს ზემოქმედების გათვალისწინებით, არ იქნება მიღწეული შეთანხმება ავტოსატრანსპორტო მომსახურების მრავალმხრივ ლიბერალიზაციაზე.	ავტოსატრანსპორტო მომსახურების უზრუნველყოფისას რეგიონის სპეციფიკის მხედველობაში მიღება და საგზაო ინფრასტრუქტურისა და გარემოს დაცვა.

სექტორი და ქვესექტორი	მუხლთან 5.4 შეუსაბამო ზომის აღწერა	ქვეყნები, რომელთაც ეს ზომა მიესადაგება	განსაზღვრული ხანგრძლივობა	გამონაკლისთა განმაპირობებელი გარემოებები
ყველა სექტორი	შვეიცარიასა და ლიხტენშტეინს შორის ორმხრივ შეთანხმებებზე დაფუძნებული ზომები სერვისის მიმწოდებელი ყველა კატეგორიის ფიზიკური პირის გადაადგილების უზრუნველყოფის მიზნით.	შვეიცარია	განუსაზღვრელი	შვეიცარიასა და ლიხტენტაინს შორის არსებული ყველა ორმხრივი შეთანხმების ელემენტი
	ლიხტენშტაინის კანონმდებლობის თანახმად, ფიზიკურ პირთა წარმომადგენლობა ყველა სექტორში დამოკიდებულია ლიხტენშტაინის მომსახურების მიმწოდებელთა ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობაზე.	ყველა ქვეყანა	განუსაზღვრელი	ლიხტენშტაინის მომსახურების მიმწოდებელთათვის ბაზარზე წვდომის უზრუნველყოფა

_____